

საქართველოს მთავრობის №619 დადგენილება "საერთაშორისო კომპანიის სტატუსის განსაზღვრის, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ცალკეული ხარჯების ნუსხის დამტკიცების თაობაზე"

საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მიღება

2020 წლის 8 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის №619 დადგენილება, რომლითაც ყალიბდება საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მიღების წესი და პირობები. აღნიშნული დადგენილების მიხედვით, საერთაშორისო კომპანიის სტატუსი საწარმოს შეიძლება მიენიჭოს შემდეგ შემთხვევებში:

- როდესაც საწარმოს აქვს დადგენილებით განსაზღვრული ნებადართული საქმიანობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება (მათ შორის, პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემის, კომპიუტერული პროგრამირების, გემებთან დაკავშირებული საქმიანობის მიმართულებით, ა.შ.);

- როდესაც საწარმო არის არარეზიდენტი საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში და არარეზიდენტი საწარმო არანაკლებ 2 წელია ახორციელებს დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობიდან ერთ-ერთს, ხოლო ამავე საქმიანობას ასევე ახორციელებს საქართველოს საწარმოც;

- რომლის 50%-ზე მეტი წილის მქონე პარტნიორ საწარმოებს დამოუკიდებლად (თითოეულ პარტნიორს ცალ-ცალკე) აქვთ ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, ხოლო ამავე საქმიანობას ასევე ახორციელებს საქართველოს საწარმოც.

- საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 პროცენტით იბეგრება, ხოლო საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთია 5 პროცენტი.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16 ნოემბერი 2020

საკონტაქტო პირები

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის №40 ბრძანება

2020 წლის 4 ნოემბერს გამოქვეყნდა „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის №40 ბრძანება, რომლითაც ჩანაცვლდა „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანება.

საკითხები, რომლებსაც მოიცავს ბრძანება

- ბრძანება მოიცავს, მათ შორის, შემდეგ საკითხებს:
  - მხარეების უფლებას კონკურენციის სააგენტოს (სააგენტოს) წარუდგინონ პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის მოკვლევის ნებისმიერ ეტაპზე;
  - მხარეების უფლებას მოითხოვონ ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
  - მხარეების უფლებას, მოითხოვონ წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა;
  - მხარეების უფლებას სააგენტოს წარუდგინონ დასაბუთებული მოთხოვნა მასზე დაკისრებული ჯარიმის არაუმეტეს ერთი წლის ვადით გადანაწილების თაობაზე.

მხარის/ დაინტერესებული მხარის ვალდებულებები

- მხარე/დაინტერესებული მხარე ვალდებულია, მათ შორის:
  - მიაწოდოს სააგენტოს გამოთხოვილი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური);
  - სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში გამოცხადდეს ახსნა-განმარტებაზე;
  - ხელი არ შეუშალოს სააგენტოს უფლებამოსილ პირს/პირებს ადგილზე შემოწმების პროცედურის განხორციელების პროცესში.

ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმება

- ბრძანება მოიცავს ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების პროცედურებს - შემოწმების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილზე შემოწმებაში მონაწილე მხარეების ძირითად უფლება-მოვალეობებს, ახსნა-განმარტების მიღებას ადგილზე შემოწმების დროს, ინფორმაციის მოპოვებას ადგილზე შემოწმების დროს:
  - სააგენტო უფლებამოსილია შეამოწმოს ეკონომიკური აგენტი, თუ არსებობს სასამართლოს შესაბამისი ბრძანება ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების თაობაზე;

საკონტაქტო პირები

- ეკონომიკური აგენტი უნდა შემოწმდეს სამუშაო საათებში, ხოლო საჭიროებისას, შემოწმება შესაძლოა გაგრძელდეს არასამუშაო დროსაც, მათ შორის, უქმეებზე;

- ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია შემოწმებისას მოიწვიოს იურისტი ან/და სხვა წარმომადგენელი;

- ადგილზე შემოწმებისას, უფლებამოსილი პირის მიერ დასმულ შეკითხვაზე ეკონომიკური აგენტის წარმომადგენლისგან ან/და ეკონომიკური აგენტის თანამშრომლისგან მიღებული ახსნა-განმარტება შესაძლებელია ჩაწერილ იქნეს ნებისმიერი ფორმით.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16 ნოემბერი 2020

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04 "ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე"

2020 წლის 8 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04 "ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე".

- ბრძანება, მათ შორის, განსაზღვრავს ინსაიდერული ინფორმაციის მაგალითებს, ბაზრის მანიპულაციის შესაძლო შემთხვევებს, ლიცენზირებული საფონდო ბირჟის ვალდებულებებს საეჭვო დავალებებთან დაკავშირებით, ა.შ.

- ბრძანების მიხედვით, საქართველოში ლიცენზირებული საფონდო ბირჟა და პირი, რომელიც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ასრულებს გარიგებებს, ვალდებულია შეიმუშაოს და დანერგოს მისი ზომისა და საქმიანობის პროპორციული პროცედურები:

პროპორციული პროცედურების დანერგვის ვალდებულება

  - საეჭვო დავალებებისა და გარიგებების მუდმივი მონიტორინგი ბაზრის მანიპულაციის ან ბაზრის მანიპულაციის მცდელობის, ასევე ინსაიდერული ვაჭრობის ან ინსაიდერული ვაჭრობის მცდელობის თავიდან აცილებისა და იდენტიფიცირების მიზნით;

  - საქართველოს ეროვნული ბანკისათვის, ბაზრის მანიპულაციის ან ბაზრის მანიპულაციის მცდელობის, ასევე ინსაიდერული ვაჭრობის ან ინსაიდერული ვაჭრობის მცდელობის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება, თუმცა, არაუგვიანეს შესაბამისი გონივრული ეჭვის გაჩენიდან 2 (ორი) სამუშაო დღისა.

საკონტაქტო პირები

ბაზრის მანიპულაცია

- ბრძანება ასევე განსაზღვრავს ბაზრის მანიპულაციის შესაძლო (და არა ამომწურავ) შემთხვევებს. ბრძანების მიხედვით, ბაზრის მანიპულაციის შესაძლო შემთხვევებია:
  - გარიგებები ან დავალებები, რომლებიც წარმოშობს მცდარ ან შეცდომაში შემყვან სიგნალებს (მაგ. ბაზრის დახურვისას ფასიანი ქაღალდების შეძენა ან განკარგვა), რომლის მიზანს წარმოადგენს ამ ფასიანი ქაღალდების ბაზრის დახურვის ფასზე გავლენის მოხდენა;
  - გარიგებების დადება ან დავალებების განთავსება, ფასიანი ქაღალდების ფასის ხელოვნურ მაჩვენებელზე შენარჩუნების მიზნით;
  - შეცდომაში შემყვანი ქმედებები (მაგ. ფასიან ქაღალდზე ან ემიტენტზე მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება მედიის (მათ შორის – ინტერნეტის) მეშვეობით ან სხვა საშუალებებით.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16 ნოემბერი 2020

ცვლილება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №240/04 ბრძანებაში

ცვლილება მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხაში

2020 წლის 10 ნოემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 240/04 ბრძანებაში „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

- ცვლილების მიხედვით, მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხას დაემატა ერაყისა და ვანუატუს რესპუბლიკები, ხოლო ნუსხიდან ამოღებულ იქნა ანგილია, მონღოლეთი, მალტა და ისლანდია.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16 ნოემბერი 2020

საკონტაქტო პირები

კანონის პროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 29 ოქტომბერს მეორე მოსმენით მიიღო კანონის პროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ და მასთან დაკავშირებული ცვლილებები სხვა კანონპროექტებში.

ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები

- კანონის პროექტის მიხედვით, გარემოზე მიყენებულ ზიანად მიიჩნევა სამრეწველო ავარიის ან/და პირის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების შედეგად გარემოზე მიყენებული უარყოფითი ზემოქმედება.
- ზიანის/მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისას, ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მათ შორის:
  - შეატყობინოს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შესახებ შესაბამის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს;
  - საკუთარი ხარჯებით და პასუხისმგებლობით განახორციელოს მნიშვნელოვანი ზიანის გამასწორებელი ღონისძიებები.
- კანონის პროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნორმებს, აგრეთვე, განსაზღვრავს, მათ შორის, შემდეგ ჯარიმებს:

ჯარიმები

ქმედება	ჯარიმა (ლარში)
გარემოზე ზიანის მიყენების გარდაუვალი საფრთხის ან ზიანის შესახებ შეუტყობინებლობა	5,000 – 10,000
დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა	5,000
ზიანის პრევენციისთვის/ შერბილებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობა	10,000-20,000

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 16 ნოემბერი 2020

საკონტაქტო პირები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

2020 წლის 12 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა შპს „ბექანასის“ კონსტიტუციური სარჩელი. მოსარჩელემ სადავო გახადა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57[1] მუხლის ის შინაარსი, რომელიც ლიცენზიის გარეშე წიაღით სარგებლობისას ითვალისწინებს სამართალდარღვევის იარაღის (მაგალითად, ტრაქტორის) სავალდებულო კონფისკაციას.

სავალდებულო კონფისკაცია

- მოსარჩელემ მიუთითა, რომ ასაჩივრებს არა, ზოგადად, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციის სანქციის გამოყენების შესაძლებლობას, არამედ, სავალდებულო კონფისკაციას - სანქციის ინდივიდუალიზაციის გარეშე.

- საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოთ ხსენებული მუხლის დარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებს სამართალდარღვევის იარაღის სავალდებულო კონფისკაციას და არ იძლევა სანქციის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას.

წყარო: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 16 ნოემბერი 2020

საკონტაქტო პირები

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე
პარტნიორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა
E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com
ტელ: + 995 32 250 80 50

ვანო გოგელია
იურიდიული პრაქტიკის ხელმძღვანელი
E-mail: vano.gogelia@pwc.com
ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 276,000 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 742 ოფისში.

PwC-ის იურიდიული პრაქტიკა

PwC-ის გლობალური ქსელის მრავალმხრივი გამოცდილება, ჩვენი ადგილობრივი ცოდნა, იურიდიული და ბიზნეს ხედვები, ქსელში დანერგილი ტექნოლოგიური ინოვაციები, დაგეხმარებათ თქვენი ბიზნესის ახალი შესაძლებლობების გამოვლენაში.

აღნიშნული მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაეყრდნოს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2020 PwC. ყველა უფლება დაცულია. "PwC" ნიშნავს შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს როგორც წევრ ფირმას, და ზოგ შემთხვევაში PwC-ის ქსელს, რომელშიც შემავალი თითოეული ფირმა არის ცალკე და დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure.